



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 49230112

თარიღი:11/01/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 2**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4822360117; 26/12/2022) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 18 ერთეულს: მერის მრჩეველი -1, მერის თანაშემწე -2, კონსულტანტი -3, მერის მძღოლი-1, მძღოლი-1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი-5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი - 1, , შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - 1, მერის მდივანი-1, დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში -1. ყველა მათგანთან მერს სურს ხელშეკრულების გაგრძელება, რაც სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებს 13 ერთეულით. ამასთან აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რაოდენობა შეადგენს 10 ერთეულს: საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე-1, მძღოლი-2, დამლაგებელი-2, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი - 1, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი -1, კომისიებში მოწვეული სპეციალისტი - 3, რაც ხუთი ერთეულით სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს. შესაბამისად, აუცილებელია დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში - 1 მერის მძღოლის, 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 ფსიქოლოგის, 1 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და 3 კომისიებში მოწვეული სპეციალისტის -

ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N148 (გ-49.49213631) განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).



თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი